№ 148 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. კვირა, ივლისის 4 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82



## საქ. დემოკ. რესპუბლიკის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო

თანახმად სამრეწველო წესდების მე-127 129, 132, და 135 მუხლებისა (კანონთა კრებული ტ. მე-II, ნაწ, მე-2-რე გამოც. 1913 წ.) ნებას აძლევს სავაჭრო სახლს

**ივანე გიორგის-ძე დავიდოვს**

ისარგებლოს 10 წლის ვადით აქვე დართულ სავაჭრო ნიშნით. 1738 1—1

## ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია

კვირას, 1920 წ. 4 ივლისს დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე (ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5). კრების საგანი:

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ანგარიშისა.
2. 1919 წლის წმინდ მოგების განაწილება.
3. 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდება ხუთამდის.
5. არჩევნები გამგეობის წევრებისა ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარის ი. ლორთქიფანიძისა და გამგეობის წევრების რ. დათეშიძის და რ. დუმბაძისა, რომლებმაც სამსახურს თავი დაანებეს და ორი ახალი წევრისა.
6. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხი.

თუ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდა აქციონერთა საკმაო რიცხვი (§ 66), იმავე ადგილას, კვირას, 18 ივლისს დილის 10 საათზე გაიმართება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე აქციონერთა რაოდენობისა. (§ 67).

შენიშვნა: უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკან აღარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიღებულია შესანახად ან გირაოდ როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქმნას ნაჩვენები აქციების ნომრები. 644 4—4

## რუსეთის სტრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოება

(1844 წ.) ამით იუწყება, რომ ქალაქთა კავშირთან შეთანხმებით და საქ. დემოკრ. რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, მის, როგორც ქალაქთა შირის კონტრ-აგენტის მიერ გახსნილია

### ქ. ფოთში სატრანზიტო საწყობები.

ამასთანავე, თანახმათ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებისა, საქონელი, რომელიც გამოგზავნილი იქნება რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ანუ ქალაქთა კავშირის სახელზე ფოთში და შემოვა საზოგადოების საწყობში—სარგებლობს ტრანზიტის უფლებით, ე. ი. თავისუფლად შეიძლება გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ცნობების გაგება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და ქალაქთა კავშირში ტფილისში. 1707 4—2

## ქ. ტფილისის გამგეობა

### იწვევს მსურველთ

### გამგეობის მთ. ბუხჰალტრის თანამდებობაზე.

საჭიროა სპეციალური ცოდნა ორმაგი ბუხჰალტერიისა და დიდი გამოცდილება მუნიციპალურ მრავალ ფეროვან მეურნეობის ანგარიშის წარმოებაში. პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის გამგეობაში საფინანსო განყოფილების გამგეობის წევრთან. 719 3—2

## ქუთაისის საცდელი მინდორი

აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 14 ს დილის 10 საათზე საცდელ მინდვრის ეზოში, მდებარე სადგურ აჯამეთთან (ყოფ. ანანოვის მამულში) გაიყიდება საჯარო ვაჭრობის წესით

**ხეხილის ბაღის მსხალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი**

და სხვა ხილი. ბაღი არის დაახლოვებით 3 ქცევა. საჯარო ვაჭრობა დაიწყობა 50.000. მანეთიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ 10 პროცენტი დასაწყისი თანხა. დანარჩენი თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ხილის წაღების დროს. ყოველივე დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისის საცდელ მინდორზე სადგურ აჯამეთი. 1744 3—1

## საქართველოს საალპინიზმო კომისია

ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის ხუთს, დილის ათ საათზე კომისიის კანცელარიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 10) გაიცემა იჯარით **მუზეუმის** ახალ შენობის **კედლების გალესვა** გაჯით. პირობების გაცნობა შეიძლება მუზეუმის კანცელარიაში 9-დან 2-დის. 720 2—2

### ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

28 ივნისი, 1920 წ., № 224.

**დაინიშნა:** გიორგი ზაალის ძე ყიფიანი ქუთაისის საპყრობილის უფროსის მოვალეობის დროებითი აღმასრულებლად ამა წლის მაისის 31-დან.

№ 225.

**დაინიშნა:** გიორგი ლევანის ძე ყიფიანი თელავის საპყრობილის უფროსის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად ამა წლის მაისის 31-დან.

№ 226.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, თელავის საპყრობილის უფროსი დეკანოზიშვილი ამა. წლის მაისის 31-დან.

№ 227.

**გაუგრძელდეს** დროებითი თავისუფლება საპყრობილეთა ინსპექტორის უმცროს თანაშემწეს ჭეიშვილს ამა წლის ივლისის 8-მდე

№ 228.

**წარმოგზავნილ იქნეს** საპყრობილეთა ინსპექტორის განკარგულებაში ქუთაისის საპყრობილის უფროსი ნესტორ ასათიანი ამა წლის მაისის 31-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.**

25 მაისი, 1920 წ. № 29.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი ფოსტალიონი მარიამ მიქაბერიძე და მოქალაქე თამარა ასათიანი რემინგტონისტკებათ: მიქაბერიძე ტფილისის ფოსტის კანტორაში, ასათიანი სამმართველოს შტატში; მოქალაქე სოფიო ჩარკვიანი მეექვსე ხარისხის მოხელეთ გორში, ყოფილი ფოსტალიონები: მიხეილ ცქირია, თეოფილაქტე მარტასოვი, გიორგი რეკვავა და მოქალაქე მალაქია ბოკუჩავა მეორე კატეგორიის ფოსტალიონებად. ცქირია და მარტასოვი-მანგლისში, რეკვავა-ჭიათურაში, ბოკუჩავა სოხუმში, ყველა 1920 წ. ივნისის პირველიდან.

**დანიშნულნი არიან:** უმცროსი მექანიკოსი ცენტრალურ ტელეგრაფისა კონსტანტინე ჰუმბურიძე მთავარ სახელოსნოს უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; მეხუთე ხარისხის მოხელე ტფილისის ფოსტის კანტორისა ელიზბარ ხუხუა ალავერდის მეექვსე კლასის კანტორის უფროსად; ხიდისთავის განყოფილების ფოსტალიონი კლენიკე მეგრელიძე და ფ. ტ. მოხელეები: ხაშურის სოფიო ტატიევისა, ტფილისის ტელეგრაფის: მეხუთე ხარ. გიორგი დოლიძე, ვლადიმერ ცოფურაშვილი, მეექვსე ხარ. კონსტანტინე ადამია და ტფილისის ტელეფონის ქსელის: მეორე ხარ. ნინო ლისინოვა, მესამე ხარ. მარიამ უთნელოვა, ელენე გამრეკელი და ალექსანდრა სკოლზნევა, მეოთხე ხარ. ალექსანდრა გამრეკელი, ნადეჟდა განტაროვა, მარიამ ხანპიატოვა და თამარა კლიმიევა, მეხუთე ხარ. მატრონე კარლოვა და ელისაბედ მაჭავარიანი და მეექვსე ხარ. თამარ ბერიევა, ოლღა კვიჟინაძე, სოფიო ართილაყვა და ნინო გამრეკელი ფ.-ტ. მოხელეებათ იმავე დაწესებულებებში: ლისინოვა პირველი ხარისხით, უთნელოვა, ელენე გამრეკელი სკოლზნევა-მეორე ხარისხებით ალექსანდრა გამრეკელი, გონტაროვა, ხანპიატოვა და კლიმიევა მესამე ხარისხებით; დოლიძე ცოფურაშვილი, კარლოვა და მაჭავარიანი მეოთხე ხარისხებით, ტატიევა, ადამია, ბერიევა, კვიჟინაძე, ნინო გამრეკელი და ართილაყვა მეოთხე ხარისხებით და მეგრელიძე მეექვსეთი, ყველა 1920 წლის ივნისის პირველიდან.

**გადაყვანილნი არიან:** სიღნაღის ფოსტალიონი ალექსანდრე რაზმაძე და ტფილისის ფოსტის კანტორის ფოსტალიონი გიორგი ერაძე. რაზმაძე ტფილისის ფოსტაში თანახმად თხოვნისა და ერაძე სიღნაღის კანტორაში სამსახურის სასარგებლოთ, ორივე პირველ ივნისიდან 1920 წლისა.

**დათხოვნილნი არიან:** ზედამხედველი ტფილისის ტელეფონის ქსელისა დიოგენ კეჩაკოვი, ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კონტორისე ივანე ჩაჩხიანი, რემინგტონისტკა ფოსტის კანტორისა თამარ იაშვილი და ფ.-ტ. მოხელეები ტფილისის ფოსტის კანტორისა: იოსებ გუშჩა და სოხუმის მეხუთე ხარ. ლუდოვიკ ნოვიცკი; ჩაჩხიანი 26 მაისიდან, დანარჩენნი 1920 წლის 1 ივნისიდან, ხოლო კეჩაკოვი, ჩაჩხიანი, იაშვილი და ნოვიცკი თანახმად თხოვნისა.

**გამორიცხულია სამსახურიდან:** მეორე ხარისხის მოხელე რკინის გზის განყოფილებისა პეტრე ლიტოროვიჩი სიკვდილის გამო 1920 წლის 27 მაისიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

### არა ოფიციალური განყოფილება

## დამფუძნებელი კრება

**2 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი დეკრეტებისა: ქალ. ტფილისის მილიციის შესანახად 1919 წ. განმავლობაში გაწეული ხარჯის 50 პროცენტის ანაზღაურების შესახებ; გზათა უწყების 1919 წ.—1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 150.028,025 მან. 65 კაპ. გადადების შესახებ; სახალხო გვარდიის შტატის დამატებისა და ცვლილების შესახებ.

**მელ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა, დეკრეტი ქალ. ტფილისის თვითმართველობისათვის 50.000,000 მან. სესხის მიცემის შესახებ.

**მისივე** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქალ. ფოთის თვითმართველობისათვის 6.000,000 მან. სესხის მიცემის შესახებ.

**მელ რუხიას** მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა ჭიათურის შავ-ქვაზე სამუნიციპალო საფუთის გადასახადის შემოღების შესახებ.

**მისივე** მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი ქალაქ ჭიათურის თვითმმართველობისათვის 6 მილ. მანეთის სესხის მიცემისა.

**ივ. გომართელი** მოახსენებს დამფუძნებელ კრებას ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების შესახებ.

**ივ. ლორთქიფანიძე** აღნიშნავს, რომ არ აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება ხალხის ჯანმრთელობას. შინაგან საქმეთა სამინისტრო ისედაც დატვირთულია საქმეებით და ჯანმრთელობის დეპარტამენტი სრულიად დამოუკიდებელი ორგანო უნდა იყოს, შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ცალკე სამინისტროც დაარსდესო. მთავარი მუშაობა ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვისა, ერობებს უნდა დაეკისროს, სამეცნიერო ნაწილის გამგებლობა კი სასანიტარო ინსტიტუტებს უნდა დაევალოს, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო უნივერსიტეტს. ორატორი მოითხოვს წარმოდგენილი კანონ-პროექტი დაუბრუნდეს ჯანმრთელობის კომისიას გადასამუშავებლად.

**ივ. გომართელი.** აქ ლორთქიფანიძემ სთქვა, ეს კანონ-პროექტი ჯანმრთელობის კომისიას უნდა დაუბრუნდესო, სწორედ ამ კომისიის მიერ არის მოწონებული ეს და საჭიროდაც დაინახა მან ამ სახით წარმოდგენილ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარება. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არაფერი გაუკეთებია ჯანმრთელობის საქმეში, უნდა განვაცხადო, რომ თუ რამე გაკეთებულია სწორედ ამ უწყების მიერ და შედარებით ბევრიც გაკეთდა. თვითონ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოითხოვს ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსებას. აქ ლორთქიფანიძემ სთქვა შეიძლება ცალკე დეპარტამენტი დაარსდეს ან, სამინისტრო. მათ ჯერაც არ აქვთ კარგად გათვალისწინებული რა სურთ ცალკე სამინისტრო თუ დეპარტამენტი. ამ კანონ-პროექტის თანახმად ჯანმრთელობის დეპარტამენტი სრულიად დამოუკიდებელი ორგანო იქნება. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გამოეყოს სრულიად ეს დეპარტამენტი, ეს არ იქნება მიზან-შეწონილი, სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში არის ის აპარატი, რომლის დახმარებითაც განახორციელებს ამა თუ იმ ზომას ჯანმრთელობის დეპარტამენტი.

კანონ-პროექტის ზოგადი განხილვა დასრულდა, მუხლობრივათ განიხილავენ სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ პროექტისა საქართველოს სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა ქონების გასაძლიერებლად და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარებისათვის ბილეთების დაბეჭვრის შესახებ.

**მისივე** მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის დაარსების შესახებ.

### სოც.-რევ. ფრაქციის შეკითხვა მთავრობისადმი ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციის თვითნებობისა და უკანონო მოქმედების შესახებ

**ლ. შენგელაია** აღნიშნავს, რომ ბორჩალოს მაზრაში ადმინისტრაციის თვითნებობას საზღვარი არ აქვს, რაც უეჭველია საფრთხეს წარმოადგენს რესპუბლიკისათვის. ეხება რა ბორჩალოს მაზრის ვითარებას, ორატორს გასულ წლის „ბორბიდან" მოყავს წერილი, სადაც აღნიშნულია წალკის რაიონის მასწავლებელთა უმოქმედობა. სკოლების ინსპექტორი თავის პირდაპირ მოვალეობას კი არ ასრულებდა, არამედ სპეკულიაციას ეწეოდაო. შემდეგ ორატორი ეყრდნობა რა „კლდეში" მოთავსებულ ცნობებს, აცხადებს, რომ ერობის ზოგიერთი წევრები ბოროტათ იყენებენ თავიანთ მოვალეობასო. თუ ადმინისტრაცია თვითნებობს, სოც.-დემ. ბიუროს წევრები კი ადმინისტრაციის საქმეებში ერევიანო. წალკის რაიონის ბიურო, ეს ბატონ-პატრონი არის მთელი იმ მხარის. ადმინისტრაციის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ვინც მოესურვებათ იჭერენ, არავითარი პატივისცემა პიროვნების იქ არ არსებობს. ცემა-ტყეპა აი ყოველ დღიური მოვლენაო. ორატორს უკანონოთ მიაჩნია გენერალ-გუბერნატორის მიერ ბორჩალოს მაზრის ერობათა მე-3 ყრილობის დახურვა. ორატორი დასასრულ ეკითხება მთავრობას, რომ იცის თუ არა მან ყოველივე ის რაც ხდება ბორჩალოს მაზრაში და თუ იცის რა ზომებს ღებულობს, რომ აცდენილ იქნას ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც უმზადებენ თვითნება ადმინისტრატორებიო.

**ნ. რამიშვილი.** მოქალაქენო! მე არა ერთხელ გამიცხადებია და დღესაც ვამბობ, რომ ყოველი ის რაც ხდება სხვა და სხვა მაზრებში ჩვენ მიერ მოწონებულ და დადასტურებულ არ არის ყოველთვის. მე არასოდეს არ მითქვამს და არც ვიტყვი, რომ ჩვენი ადმინისტრაცია ისეთ სიმაღლეზე იდგეს რომ მას არავითარი ნაკლი არ ჰქონდეს მაგრამ ერთი ცხადია ყველასათვის, ამ ორი წლის განმავლობაში შევქენით ისეთი მდგომარეობა, რომ უცხოელნი ალტაცებაში მოდიან ჩვენში არსებულ წესრიგით და მშვიდობიანობით. ეს შეეხება უფრო იმ ადგილებს, სადაც მეტი ტრადიცია იყო განმანთავისუფლებელ მოძრაობის, სადაც კულტურა უფრო მაღალ დონეზე იდგა და ხალხიც თვითმოქმედებას იყო დაჩვეული. მაგრამ იმ რაიონებში სადაც ხალხი თვითმოქმედებას მოკლებულ იყო სადაც ოსმალური წესები იყო გაბატონებული, რა საკვირველია ორი წლის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა ყველა ნაკლის მოსპობა. ვინც იცნობს ბორჩალოს მაზრას, მას ისიც ეცოდინება, რომ ამ მხარეს სამართლიანად ეწოდებოდა ფეშქაშების მხარე იქ ყოველივე კითხვა სწყდებოდა ფეშქაშებით (საჩუქრებიან მართმევით) ამით არის დღესაც გამსჭვალული იქ მცხოვრებთა უმეტესობა. მე ვამბობ, რომ ყველა ადმინისტრატორი ერთნაირათ ასრულებდეს თავიანთ დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენ ვიღებთ ყველა უვარგის, ბოროტმოქმედ ადმინისტრატორების წინააღმდეგ ზომებს და ორი წლის განმავლობაში 17 კომისარი იქნა გადაყენებული. ყველა ისინი გადაეცნენ გამომძიებლებს და თუ უკანასკნელი გამოუშვეს ამაში ბრალი მთავრობას არ მიუძღვის. იგი არ ერევა დამოუკიდებელ სასამართლოს საქმეებში აქ შენგელაიამ მოიყვანა „ბორბიდან" ამონაწერი, რომ წალკაში მასწავლებლები სპეკულიაციას ეწეოდენო და თავიანთ პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებდენო. მართალია ყველა განაპირა კუთხეში არ იყო მაშინ სწავლა, მაგალითად ლეჩხუმში ის რაც შეეხება წალკის რაიონს იქ ბევრმა მასწავლებელმა სკოლა კუხნებათ გადააქციეს და ყველა ეს მასწავლებლები თქვენი, სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრები იყვნენ. (შენგელაია ხმაურობს) ნუ ღელავთ ბ. შენგელაია, ეს ფაქტია ისეთივე, როგორც მაგალითად ფაქტია ის, რომ მკვდარ არ არსებულ სავაადმყოფოებს ხსნიდა თქვენი ამხანაგი ლორთქიფანიძე აფხაზეთში. აქ სთქვეს პრესაში საკმაოთ იყო გაშუქებული ბორჩალოს მაზრის ვითარებაო. ჩვენ არაფერი დაგვიმალავს ესერებივით, რომლებიც ხელს აფარებენ თავიანთ პარტიის წევრების აფხაზეთში მოქმედებას. არავითარ დანაშაულს არც ერთ ადმინისტრატორისას და არც პარტიის წევრისას ხელს არ ვაფარებთ. ჩვენმა პრესამ მიაქცია ყურადღება ბორჩალოს მაზრის სკოლებს და იცით, რომ იქ ეხლა საუკეთესოდ არის დაყენებული სასწავლო განყოფილება. რაც შეეხება „კლდეში" მოთავსებულ წერილებს, ამას თვით „კლდესთან" ახლო მდგომნი არ იზიარებენ. თქვენ წაიკითხავდით იმის შესახებ შალვა ქარუმიძის კერძო წერილს, დაბეჭდილს გაზეთში, სადაც ნათქვამია, რომ „კლდეში" მოთავსებული წერილი ერთ ერთ პასუხის მგებელ პოსტზე მყოფ პირის შესახებ არ შეეფერება სიმართლესო. „კლდეში" ადმინისტრაციის და ერობის წინააღმდეგ გამოილაშქრა სვიმონიშვილმა, რომლის ვინაობა მე არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ იგი ყოფილი პოლიცმეისტერი არის ქუთაისის—ძველი რეჟიმის დროს. ნაადრევია როცა ერთი კაცის ჩვენებაზე ამყარებთ მთელ ბრალმდებას, მით უმეტეს ის ცილისწამებისათვის სამართალში არის მიცემული. აქ შენგელაიამ ელინთა ყრილობის რეზოლიუცია წაიკითხა, სადაც ისინი ადმინისტრაციის თვითნებობაზე ლაპარაკობენ. მე არ ვიცი ეს რეზოლიუცია. ჩემთან ყრილობის შემდეგ გამოცხადდენ ელინთა წარმომადგენლები და გამოიცხადენ მადლობა შესახებ იმისა, რომ ჩვენ ლტოლვილებს დიდი მზრუნველობა გაუწიეთ, და დახმარება აღმოუჩინეთ. და თუ ისინი ადმინისტრაციით უკმაყოფილონი იყვნენ, მათ ამის შეძლება ჰქონდათ განეცხადებინა, ყველამ კარგად იცის, რომ პროტესტის განცხადებისათვის ჩვენში არ სჯიან და ელინთა ყრილობას შეეძლო ასეთი განცხადების გაკეთება. აქ სთქვეს პარტიის ბიურო ერევა საქმეშიო, არავინ არ უარყოფს, რომ წინათ ჰქონდა ასეთ ჩარევას ადგილი და ეს თანდათანობით მოისპო, და ჩვენთვის რომ მოეწოდებინათ ესერებს რაიმე განცხადება ამის შესახებ დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგ ზომებს მივიღებთ. შემდეგ მინისტრი დოკუმენტებით ამტკიცებს, რომ ესერები ადმინისტრატიულ პოსტებზე ყოფნის დროს ადმინისტრატიულ აპარატს პარტიის სასარგებლოთ იყენებდენ. შემდეგ ეხება იმას, რომ გენ. გუბერნატორმა ყრილობა კი არ გარეკა, როგორც ამას გაიძახიან ესერები, იგი შეჩერებულ იქნა დროებით, რადგანაც სწორედ ადმინისტრაციის საკითხის გარშემო შესაძლებელ იქნებოდა მოხდარ პარტიათა შეხლა შემოჯახება. და ეს კი ბორჩალოს მაზრაში არსებულ გართულებულ პირობების გამო არ იყო სასურველი. შეჩერებულ ყრილობის გაგრძელება მოხდა, როგორც დაინახავთ განაგრძობს მინისტრი, მთავრობა ხელს არ აფარებს ბოროტმოქმედთ, ჩვენ მიერ 17 კომისარი იქნა გადაყენებული და სასამართლოს გადაცემული, არც ერთ ბოროტმოქმედებას ჩვენ ხელს არ დავაფარებთ, დაუსჯელს არ დავტოვებთ. ჩვენ ამ გზით მივდიოდით და შემდეგშიაც ამ გზით ვივლით.

სიგვიანის გამო სხდომა გადაიდო.

## ბათუმი ჩვენია...

აღსრულდა ერის უზენაესი ნატვრა—სურვილი. ძალით ჩამოგლეჯილი ბათუმი და ბათუმის ოლქი დაუბრუნდა თავის კანონიერ ბატონ-პატრონს, ბოლოს მაინც გაიმარჯვა სამართლიანობამ, ამიერიდან ბათუმი ჩვენია, ის საქართველოს ეკუთვნის სამუდამოდ. ბევრი მწარე დღეები განვიცადეთ უკანასკნელ წლის განმავლობაში, მაგრამ ასე ძლიერად, ერთსულოვნად არასოდეს არ დაჭიმულა ჩვენი ეროვნული ძარღვი, როგორც ეს მოხდა ბათუმის საკითხის გარშემო. ვის არ ახსოვს წელს ტფილისში 12 მარტი, როდესაც საქართველოს დემოკრატიამ დიდის დემონსტრაციის სახით პროტესტი განუცხადა მათ, ვინც ბათუმის საკითხის გადაჭრას უკულმართად ლამობდენ. ამ დღეს მთელი ერი შეერთებული იყო ერთის გრძნობით ერთი სურვილით, რომელიც გადაკვანძული იყო ბათუმთან. ამ დღეს ქართველმა ერმა ყველას გასაგონად, ხმამაღლა განაცხადა, რომ მას უბათუმოდ არსებობა არ შეუძლია, რომ ბათუმი და მისი ოლქი არის მისი ორგანიზმის უმთავრესი მოუცილებელი ნაწილი. განა ის უთანასწორო ბრძოლა, რომელსაც ყველასაგან ობლად მიტოვებული საქართველო 1918 წელს ბათუმში ოსმალ იმპერიალისტების წინააღმდეგ რომ აწარმოებდა ამასვე არ ღაღადებს; იმ დროს ჩვენი ცხოვრება აფორიაქებული იყო, არ გვქონდა მტკიცე სახელმწიფოებრივი აპარატია, სამხედრო ორგანიზაციაც ახლად ეწყობოდა. როდესაც ანარქიის მეთაურნი ჩვენი მომქმედი კომუნისტები საქართველოს ბნელ კუთხეებში ხალხს გვიჯანყებდენ, მობილიზაციის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევოდენ, ურჩევდენ ხალხს ბათუმი დარჩენოდა კაცა-ჭამია ოსმალ იმპერიალისტებს, რადგანაც ამას მოითხოვდა ბრესტის ზავი, მაგრამ მიუხედავად მრავალ ამგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა ქართველი ერი, როგორც ერთი კაცი ფეხზე ადგა ბათუმის დასაცავად. ბევრი ხანი გავიდა მის შემდეგ და ბათუმს არა ერთი და ორი პატრონი გამოუჩნდა, ყველა ლამობდა იქ გაბატონებას, ყველა აღიარებდა მაზედ უფლებას. გამეფდა ოლქში საშინელი უწესრიგობა, ერთ დროს კოპწია, ევროპიული ქალაქი ამ არამკითხე პატრონებმა გააპარტახეს, მთელ ოლქში გამეფდა საშინელი ცარცვა-გლეჯა, რომელიც მშვიდობიან მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევდა, ყოველი ავაზაკი, სხვა და სხვა ჯურის მავნე ელემენტი ბათომის ოლქში იფარავდა თავს. ჩვენმა მტრებმაც აქვე გაამაგრეს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედების ბაზა, აქ იყო ის შავი ორგანიზაცია, რომელიც მატარებლებსა და რკინის გზას გვიმსხვრევდა: აქ ჰქონდათ ბუდე ამ ბანდებს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ სისტემატიურად ილაშქრებდა: აქ იყვნენ მოკალათებული ჩვენი „კეთილ მოსურნე" ბოლშევიკები, რომლებსაც დღეს ყოფნით გამბედაობა გაუწითლებლად აღიარონ თავიანთ გაზეთის ფურცლებზე მაინც, რომ „ბათომის ოლქი საქართველოს გადაეცა რუსეთის პროლეტარიატის წყალობით". მათთან ერთად „მოღვაწეობდენ" ბათომში ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი კომუნისტების მოკავშირე ოსმალ იმპერიალისტები, რომლებიც მილიონობით ხარჯავდენ, რომ გაემეფებიათ ბათომში და მის ოლქში ოსმალური გეგემონია, მათი მეფობა. მათმა ლიდერებმა კიდევაც გამოიღეს ოლქში ნაყოფი. მათ ადვილად მოისყიდეს ოლქის ზოგიერთი ფაშები და ყოფილ რუსეთის მთვითპყრობელის ლაქიები, რომლებსაც დღესაც გასვრილი აქვთ თავიანთ ხალხის სისხლში ხელები. ამდენმა ჭირისუფალმა გზა-კვალი დაუბნია ჩვენ თანაერთხორც სამაჰმადიანო საქართველოს; ყველა არწმუნებდა მას არა მე ვარ შენი ბატონ-პატრონი, მე დამნებდი და არა მეო. მაგრამ „სითაც გაიქცა იქით წაიქცა". არავინ არ დაინდო მრავალ ტანჯული ჩვენი მოძმენი, მიუხედავათ ასეთი საშინელი ატმოსფერისა, სამაჰმადიანო საქართველომ მაინც ხმა მაღლა განაცხადა „ღვთისა და ერის წინაშე„, რომ მას სურს ცხოვრება მხოლოდ თავის დედა საქრისტიანო საქართველოსთან, რომ ის არის მისი განუყრელი ნაწილი, რომ ამ ორ მოძმეთ ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც; ბევრი ეცადენ, ეს ხმა ჩაეკლათ, დაეტოვებიათ „მღაღადებელის ხმად", მაგრამ ამაოდ, მაინც სამართლიანობამ გაიმარჯვა, მათი ხმა, გაერთიანებული საქართველოს მტკიცე მოთხოვნა ყურადღებულ იქნა დღევანდელი ევროპის ბატონ-პატრონების მიერ. კიდევ ერთი გამარჯვება ხვდა წილად საქართველოს დემოკრატიას. დღეს უკვე ჩვენი ჯარი ოლქშია შესული, ჩვენი ჯარი, ჩვენი მთავრობა შედის ბათუმში წესრიგის მშვიდობიანობის დასამყარებლად, ოლქში მკვდარი სიცოცხლის აღსადგენად, ჩვენ თანა მოძმე სამაჰმადიანო საქართველოს მაგრად გულში ჩასახუტებლად, დემოკრატიული მართვა გამგეობის დასამყარებლად საქართველოს სხეულის გასამრთელებლად, ძმობისა ერთობისა და სიყვარულის საუკუნოდ განსამტკიცებლად, აი რა აწერია საქართველოს იმ ეროვნულ დროშაზე, რომელიც დღეს ბათუმში და მის ოლქში ფრიალებს. მართალია, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ბევრი აჭარლები მოისყიდეს ჩვენმა მტრებმა, ბევრს აუხვიეს თვალები, აამუშავეს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ დღეს, როდესაც მთელდება ჩატეხილი ხიდი, ყველაფერს დავიწყებას ვაძლევთ, წარსულ შავი ისტორიის არქივში ვინახავთ. არავითარ შურის ძიებას არ ექნება ადგილი, მაგრამ თუ ოლქში მოთარეშე ყაჩაღები საბოლოოდ არ დაყრიან იარაღს, თუ ისინი მორჩილებას არ გამოუცხადებენ ქართველ ერს, მისი ნდობით აღჭურვილ მთავრობას, მაშინ კი იმედი ნუღა ექნებათ შებრალებისა,—ჩვენი ჯარი ყაჩაღების წინააღმდეგ ოლქში სასტიკ ზომებს მიიღებს, რადგანაც ამას მოითხოვს ყაჩაღებისაგან [illegible]ლებულ და აწიოკებული მცხოვრებთა ინტერესები.

დღეს ბათომი ჩვენია...

დღეს სამუსულმანო საქართველო ზეიმობს, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, უხარის რომ ბოლოს მაინც ის დაუბრუნდა თავის დედა სამშობლოს, ჩვენც მათთან ერთად ვართ ამ ზეიმში, ჩვენც მათთან ერთად ვეძლევით ამ დაუვიწყებელ ეროვნულ სიამოვნებას, რადგანაც ამიერიდან და უკუნისამდე ჩვენ ერთხორცნი ვართ ჭირშიც და ლხინშიაც.

ძმური სიყვარულით აღსავსე სალამი ჩვენ მოძმე სამაჰმადიანო საქართველოს.

გრ. მა—ნი.

## სიხარულის ჟამს.

ძმა ძმასთან მივიდა, დედა შვილს ეამბორა!

საქართველო გამთელდა!

მიწიერ მყოფელობის სარბიელზე ჩვენთვის დღეს ახალი წელია!..

იმედის ორბი ძლავრად ჰფრენს ჩვენს შორის და ყველას ახარებს!..

ლამაზო ბჭენო ბათუმისა, ანჩხლო მდინარე ჭოროხისა, გადასძახეთ მთელ ხალხს განვლილ ჟამთა სიმწარეების მოშორება და ახარეთ საქართველოს გაერთიანება!..

ერისა შვილნო, შემოკრბით და დასტკბით დღევანდელ ზეიმით!

ბათუმი საქართველოს კალთებში მოექცა. რა დიდი და რა საბედნიერო ამბავია!..

ამ დიად სიხარულში ჩვენ სულიერ სიხარულთან ერთად ვიწყებთ ფიქრს ჩვენი კეკლუც მხარის კეთილდღეობის შესაქმნელად.

თავისუფლება უნდა იგრძნოს ყოველმა კუნძულმა, ყოველმა სულდგმულმა!..

გაერთიანების სიკეთე უნდა დაინახოს მთელმა ხალხმა!..

ამიერიდან ჩვენ გვპირია შეთანხმებული—შეერთებული ძლიერი თანამშრომლობა.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ შეკავშირება ყველა ცხოველმყოფელ შემომქმედ ძალთა და ვიმუშაოთ ერთ პლატფორმაზე.

დღეს უნდა გაიშალოს ჩვენი ენერგია და შემძლებლობა...

შორს წვრილმანი კინკლაობა, ჯგუფობანა და „რუსული" ორომტრიალი! ყველამ ერთად ერთს მიზანს ვემსახუროთ.

აღსრულდა უდიდესი ნატვრა: ბათუმის მოჯადოებული წრე გაირღვა და გაერთიანებულ საქართველოს დროშა ბათუმის კედლებს ამშვენებს...

იხარეთ!..

მოვიშოროთ გუშინდელი სიმახინჯე!..

გარდიქმნას შერყვნილი სული ზოგიერთებისა, ყველამ ახალ გულით და ახალ სულით შეუდგეს მშენებლობას, შემოქმედებას საყვარელ მხარისას.

იხარეთ ყველამ და ადიდეთ ეს დღე!!!

დღეიდან ჩვენი ცხოვრების მოწყობით, სიდარბაისლე სიგონივრით და ნიჭით უნდა გავაწბილოთ ისინი, ვინც ჩვენ საექსპლოატაციო მასალად გვთვლიდა, ჩვენში ნადირობდა და ჩვენს ფსიხიკას რყვნიდა...

დაე ამიერიდან დაინახონ მათ, რომ ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია ლამაზათ სიცოცხლე. ჩვენ გვიყვარს თავისუფლება და ჩვენი ნატვრა იყო საქართველოს გაერთიანება!..

ასრულდა!..

სიცოცხლე ჩვენს ერს!..

სალამი ჩვენს საუკუნო შეხვედრას—შეკავშირებას!.. („სამუს. საქ.“).

# ბათომი

### კუკ-კოლისის განცხადება.

გენ. კუკ-კოლისმა მასთან მისულ მუსულმან მცხოვრებთა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბათომი და ბათომის ოლქი კონფერენციის დადგენილებით საქართველოს გადაეცა. ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარს წინალმდეგობას გაუწევს, ჩაითვლება ინგლისის მტრად და როგორც საქართველო, ისე ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ დამნაშავეთა წინალმდეგ.

### „სედაი-მილეთის“ დელეგაცია.

ბათომის გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ (№ 396) იუწყება: 20 ივნ. სექართვ. საგანგებო წარმომადგენელს წარუდგა „სედაი-მილეთის“ წრის დელეგაცია. მთავრობის წარმომადგენელმა განუცხადა დელეგაციას, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ბათომი და ბათომის ოლქი საქართველოს გადაეცა. ამიტომ ვინც მის წინალმდეგ წავა მკაცრად დაისჯებაო. ეს დადგენილება დელეგაციამ „სედაი-მილეთის„ შეიარაღებულ წევრებს აუწყა. დელეგაციამ წინადადება მისცა განიარაღებულიყვნენ, მაგრამ ამის საპასუხოთ ზოგი დელეგატი დააპატიმრეს. მათ ბრალდებათ, რომ ისინი ამდენხანს ატყუებდენ აჭარას და არწმუნებდენ მცხოვრებთ, რომ ბათომის ოლქში ოსმალთა ჯარები შემოვაო.

### ადმინისტრატიული აპარატის მოწყობა.

იუსტიციის სამინისტრომ გაგზავნა ბათომში სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ა. კ. ყანჩელი, ბათომისა და ოლქის დროებითი სასამართლოების საქმეების ჩასაბარებლად და ციხეების მისაღებათ. ფინანსთა სამინისტრომ გაგზავნა საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის დ-რი ა. ი. კანდელაკი, როგორც მთავრობის საგანგებო რწმუნებული ქალაქსა და ოლქში ფინანსური დაწესებულებათა მოსაწყობათ. ბ-ნ კანდელაკის მიზანია გამორკვევა ოლქის ვაჭრობა მრეწველობის საქმისა, ამისთვის მასთან ერთად ბათომში გაემგზავრა პირდაპირი გადასახადების სამმართველოს განყოფილების უფროსი სვანიძე და გუნცაძე, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთან ირიცხება. საბჭო და სააქციზო ნაწილების მოსაწყობათ კანდელაკთან ერთად წავიდენ ფინ. მინის. საბჭოს წევრი ყ. მიქაძე და ს. ბაქრაძე.

# საქართველო-რუსეთის კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ

1 ივლისის სხდომაზე გამოცხადებულ იქმნა საქართველოსდელეგაციის პასუხი რუსეთის დელეგაციის მიერ წამოყენებულ საკითხზე იმის შესახებ, რომ შერეულმა კომისიამ, ან მისმა ნაწილმა დაიწყოს თავისი მუშაობა ბათომში, მის შემდეგ, როცა იგი ფორმალურად გადმოეცემა საქართველოს. საქართველოს დელეგაციამ ამაზე განაცხადა: 1. რომ ჯერ ბათუმის და მისი ოლქის გადაცემის დღე ნამდვილად არ არის გამორკვეული, და 2. რომ პრინციპიალურად არ არის წინაალმდეგი ბათუმში დელეგაციის წარმომადგენლების ნაწილის გაგზავნისა ადგილობრივ იმ პირობების გამოსარკვევად, რომელიც მეხუთე მუხლს ექვემდებარება. საქართველოს დელეგაცია სთვლის, რომ ამ გამორკვევას ადგილი ექნება მხოლოდ ბათომის და მისი ოლქის საქართველოს მთავრობის მიერ ოფიციალურად მიღების შემდეგ. კომისიის წარმომადგენელთა წასვლა ბათომში მოხდება მოკლე ხანში ბათომისა და მისი ოლქის ფაქტიურად გადმოცემის შემდეგ. როგორც ამას ხელშეკრულების მერვე მუხლი გულისხმობს. რუსეთის დელეგაცია თავის მხრივ ითხოვს რომ კომისიამ დაუყონებლივ დაიწყოს მუშაობა ბათომში მე-4 და მე-5 მუხლის საფუძვლების თანახმად. ამის პასუხად საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ პირველად შერეული კომისიის დასწრება ბათომში, მისი გადაცემის დროს, ამცირებს საქართველოს სუვერენიტეტს, რადგან 5—6 მუხ. საქართველოს ავალებს განიარაღებას, დაკავებასა და სხ. 3. ფორმალური გადმოცემა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ბათომის ფორმალურ გადმოცემისა და იქ საქართველოს მთავრობის ძალა-უფლების ფაქტიურ განხორციელების შორის უნდა გავიდეს განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში მთავრობა შესძლებს დაარსოს ის მინიმალური წეს-რიგი, რომელიც აუცილებელი საპირო კომისიის მშვიდობიან მუშაობისათვის. კომისიის ბათომში იმ დროს დასწრება, როდესაც მთავრობის წარმომადგენლები სასწრაფო მუშაობაში იქნებიან გართული, ძნელი ასახსნელი იქნებოდა, რადგან ეს კომისია არ წარმოადგენს სახელმწიფო უფლების ორგანოს. საქართველოს დელეგაციამ კატეგორიული უარი განაცხადა რუსეთის დელეგაციის წინადადების მიღებაზე კომისიის დაუყონებლივ გაგზავნის შესახებ, რის შემდეგ რუსეთის დელეგაცია კომპრომისზე წავიდა და დასთანხმდა, რომ დელეგაციამ მოქმედება დაიწყოს არა „მოკლე დროში“ ფორმალურად გადმოცემის შემდეგ, არამედ მინიმალურად განსაზღვრულ დღეებში ფორმალურად გადმოცემის შემდეგ, ეს წინადადება პრინციპიალურად მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომელმაც მოითხოვა სხდომის შეწყვეტა, რათა სისწორით გამოერკვია ვადა ბათომში კომისიის მუშაობის დაწყებისა. ეს წინადადება მიიღეს და კრება საღამოსთვის გადაიდო.

# საქართველო რუსეთის კონვენცია

საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურმა მისიამ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს გაუგზავნა პროექტი „რუსეთსა და საქართველოს შორის საფოსტო, სატელეგრაფო და რადიოთი დამოკიდებულების კონვენციისა“. შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ რუსეთმა და საქართველომ, რომლებიც ხელმძღვანელობენ ერთის სურვილით რათა ხელიშეუწყონ ორივე მხარის მეგობრულ და ეკონომიურ დამოკიდებულების განვითარებას, საგანგებო კონვენციით უნდა განსაზღვრონ ურთიერთ შორის დამოკიდებულების პირობა და ფოსტის ტრანზიტით გადაზიდვა. პროექტში აღნიშნულია, რომ ფას დადებითი გადაგზავნა დროებით არ იქნება ნება დართული, მაგრამ ორივე ხელშემკვრელ მხარის ფოსტა-ტელეგრაფის მართველობას ნება ეძლევა მომავალში გამოიმუშაოს პირობები და მათი შემოღების ვადა. მე 6 პ-ში დაწესებულებათა შორის მიწერ მოწერის შესახებ სურვილია ჩამოთქმული, რომ მიწერ მოწერა იყოს რუსულ ენაზე. პროექტის თანახმათ უბრალო წერილები, წონით 15 გრ. და უბრალო საფოსტო ბარათები საფოსტო გადასახადისაგან განთავისუფლებული უნდა იქნეს და უნდა ჩაბარდეს ადრესატს დამატებით გადასახადის გადაუხდელად მე 10 პ. სხვათა შორის გულისხმობს თითეული მხარის უფლებას იბრძოლოს ლიტერატურულ პროპაგანდის წინააღმდეგ: თითეული მხარეს ენახება უფლება არ მოახდინოს გადაგზავნა თავის ტერიტორიაზე, როგორც წერილში, ისე ბანდეროლით და დანიშნულ ადგილზე ნაბეჭდ ნაწარმოებისა, რომელნიც ეწინააღმდეგება ამ ქვეყანაში მომქმედ კანონებსა და დადგენილებებს. კონვენციის პროექტს დაუშვებლად მიაჩნია აგრეთვე განცხადებულ ღირებულებით გაგზავნილ წერილებში ჩადება: საპროცენტო, დივიდენდის და სხვ. ძვირფასი ქაღალდებისა, საკრედიტო და ბანკის ბილეთებისა და ძვირფასი ნივთებისა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოაშკარავდა ამ წერილებს კონფისკაციას არ უზამენ, მხოლოდ დააბრუნებენ უკანვე, საიდანაც გაგზავნილია. გადაგზავნის საკითხის შესახებ პროექტი 10,000 მან. მეტს არ გულისხმობს. პროექტის 29 გადაგზავნის შესახებ აღნიშნავს, რომ თითეულ ფოსტა-ტელეგრაფის მართველობას ნება აქვს შემოფარგლოს გადაგზავნის საქმე, ან და სულ შესწყვიტოს გადაგზავნა, როდესაც კურსი, ან სხვა რაიმე გარემოება შექმნის ბოროტ-მოქმედებასო. ეხება რა საკითხს გაგზავნილის დაკარგვის პასუხისმგებლობის შესახებ პროექტი ფასს აღებს: დაზღვეულ წერილებს 500 მანეთამდე, გამოცხადებულ ფასის ბარათებს 100 მ. თითო კილოგრამზე და ფას დადებულზე კი იმდენს, რამდენიც გამოცხადებული იყო.

# მესხეთი

(გაგრძელება)

აქ მოღვაწეობდა დიდი მწერალი ბერაი, მიქელ მოდრეკილი, უუდიდებულესი ქართველი ექთვიმე თარგმანი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და მრ. სხვა მწერალი პეტრიწი ფილოსოფოსითურთ.

აქ გამოჩნდა პირველი მგოსანი (X საუკ.), შემდეგ ეფრემ მცირე და ბოლოს უკვდავი შავთელი და შოთა რუსთაველი.

აქ აღორძინდენ დიდი მეფეები:—გურამები, აშოტები, დავითები, ბაგრატები, აქედან იყვნენ საუკუნო სახსენებელი კათალიკოსები, მაგალ. არსენი დიდი და სხვ.

ტაოელი იყო დიდებული ჩვენი მეფე დავით კურატპალატი, მამობილი ბაგრატ მესამისა. „მიზეზი მყუდროებისა და კეთილწესიერებისა მთელ აღმოსავლეთში“ და განსაცდელისაგან მხსნელი კონსტანტინეპოლისა სახელოვან თორნიკეს გალაშქრებით იმპერატორის მტრების წინაალმდეგ.

მაგრამ განა აქ შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ ყველა ის ამაგი, რომელიც მესხელებს მიუძღვით ქართველების წინაშე და თუ გინდ კაცობრიობისაც! რამდენი მარგალიტი დაგვიუნჯეს მათ ჩვენ ქართველებს და ზოგიც სხვებს, გარმიანელებს, მაგალ. „ბალავარი“, მოთხრობა „კონსტანტინეპოლის გარემოცვა სკვითთა მიერ 626 წელს“ და მრ. სხვა ტყავზე დაწერილი ძეგლი თუ ხუროთმოძღვრული საუკუნო ნაშთი... აქ ვურთავთ მოკლე ცნობას მესხეთის ზოგიერთ ქალაქებისა და სოფლების შესახებ.

ართვინი=ართვანი (ოსმალ. ლივანე) მცირე ქალაქი ჭოროხის მარცხენა კიდეზე, ბათომს შორავს 80 ვერსით. სახლები ფერდობებზეა მიშენილი. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი, როგორც თითონვე ამბობენ, შემოხიზნულა ქალაქ ანის ნანგრევიდან. ართვინის ეკლესიაში, რომელიც სომხებს ეკუთვნის, არის ტყავზე დაწერილი ქართული სახარება.

არტაანი=არტანისა. ააშენაო მცხეთოსის შვილმა ჯავახოსმა „ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსაც მაშინ ერქვაო ქაჯთა ქალაქი, აწლა ჰქვიან ჰური“ (ქ. ცხ, 20). პომპონი მელა (15—69 წ. ქრ. შობ.) იხსენიებს მასსაგეტებს (=ალანებს—ოსებს), ქაჯებს, ჰირკანებს (=ჯურჯანებს) და ივერებს (ჰან, 97). პტოლომესით (120—170 ქრ. შობ.) Artanissa ივერიის ქალაქია (იქვე 169) აქ იჯდა ერისთავი არტან კოლიმა. ქალაქს აქვს მაგარი ციხე. დაიპყრეს ოსმალებმა 1530 წელს. აწ ჰქვიან არდაგანი.

არტანუჯი. ვახუშტი: „არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს ააშენა გორგასალმა, შემდგომად შემუსრა მურვან ყრუმ, მერე ააშენა და განაახლა აშოტ კურატპალატმა და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი: მოკლეს მასშინავე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯს ეკლესია გუმბათიანი, კეთილ დიდ მშვენიერ ნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქავ არტანუჯს აღაშენა გორგასალმა მონასტერი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად მშვენიერი. კვალად ჰქმნა ახიზს ქვაბი კლდისა გამოკვეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუვალნი“. ხსენებული მეფე აშოტი იმყოფებოდა ტფილის-ბარდავს. ქსანზე ძლიერად გაიმარჯვა არაბებზე. ამათ მაშველად ლაშქრით წამოვიდა ხალილი. აშოტი წავიდა არტანუჯს, გაამაგრა ციხე, ციხის ძირს ააშენა ქალაქი. მას შემოეპარენ სარკინოზნი და დაჰკლეს ტაძარში 826 წელს. მისი ჯარი მაშინ იყო დოლისყანას, გამოედევნენ სარკინოზებს და ამოსწყვიტეს სულერთიანად.

ახალქალაქი ჯავახეთშია. ააშენა ბაგრატ III (✝ 1014 წ.), ხოლო მისი ციხე ბაგრატ IV 1045 წელს. 1807 წელს გუდოვიჩი მიესია მას, მაგრამ 1130-დე მოლაშქრე დაჰკარგა და უკან დაიხია. იგი აიღო პასკევიჩმა 1828 წელს.

ახალციხე (ოსმალურად—ახსიხა) ფოცხოვის ნაპირზე, იყო დედა ქალაქი ზემო ქართლისა ზღუდით და მაგარი ციხით, რომელსაც წინათ ერქვაო ლომსია. სარგისი იყო პირველი დამოუკიდებელი ათაბაგი (1306—1334) ჯახალციხისა და ზემო ქართლისა ანუ ჯსაათაბაგოსი. ახალციხე 1828 წ. აიღეს რუსებმა.

აწყური=(სოსანგეთი) ციხე-ქალაქი ეკლესიით. აქ ეკლესია დაარსაო ანდრია მოციქულმა მაშინ, როდესაც აქაურობის მთავარი იყოო ქვრივი სამძივარი. აწ ეკლესია მთლად დანგრეულია.

ბათომი=ბათუმი ანუ Bata სტრაბონით (1 საუკ.) შავი ზღვის პირად უკეთეს ნავთსაყუდელით. ვახუშტი: „ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზე არის ბათომი. მცირე ქალაქი და ციხე კარგი“. 1437 და 1474 წლებში მას ჰფლობდა სამეგრელოს მთავარი (ბარბარო, კონტარინი), 1547 წელს ოსმალებმა წაართვეს იგი გურიელს და ძლიერი ციხე ააგეს, ხოლო რუსებმა დაიპყრეს 1878 წელს. მას აქეთ ქალაქი გადიდდა, გაშშვენიერდა.

ბაიბურთი არს ყოვლგნით მთით მოხვეული და თვითცა მთა. ამას შინა დის ისპირის მდინარე. ამ წყალზე, შუა ადგილს არს ქალაქი ბაიბურდი, არა დიდი და არიან აწ სრულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედ თუ ვინმე ქრისტიანენი (ვახუშტი).

ბარალეთი მცირე ქალაქი ჯავახეთში.

გოკია მცირე ქალაქი ჯავახეთში მრავალის ნანგრევებით.

გონია მცირე ქალაქი ჭოროხის მარცხენა კიდეზე ბათომის პირდაპირ. ოსმალებმა აქ ციხე ააშენეს 1547 წელს.

თმოგვი, ჯავახეთის ქალაქი, რომელიც ვახუშტის დროს წარმოადგენდა მხოლოდ დაბას. თმოგვს, კლდეზე, მაგარი ციხეა. ბაგრატ III საქართველოს განმაერთიანებელმა იმპერატორმა ამ თმოგვის ციხეში ამოალპო ქვეყნის გამთიშავი მთავრები. აქაურივე იყო დიდებული სარგის თმოგველი „ვის-რამინის“ მთარგმნელი,

თუხარისი ციხე შავშეთში, ტბეთის პირდაპირ, ჩრდილოთ კერძ, ააშენაო ოძრახოსმა. ხოლო მირდატ მეფემ (364—379 წ.) მასში ააგო საყდარი. ეს დაანგრია მურვან ყრუმ, მაგრამ განაახლა ტბეთის ეპისკოპოსმა. აქაურები არიან აზნაურები თუხარელები.

ისპირა მცირე ქალაქი ისპირის მდინარეზე, რომელიც გამოსდის ტრაპიზონის ანუ ჭანეთის მთას და ერთვის ჭოროხს. ამას იხსენიებენ ჯერ ისევ ჰეროდოტე (480—426 წლ. ქრ. წ.), სტრაბონი და სხ.

იშხნის ციხე, ართვინს ზევით, ფრიად მაგარი. დიდშენი; ამას ზევით ჭოროხზე არს ხვარამზეს ხიდი ქვითკირისა მრავალ თვალიმშვენივრად აგებული (ვახუშტი).

კალმახი ციხე, დიდშენი, მაგარი და შეუვალი. იყო საერისთო ტაოსი. ქ. ცხ. 181: „მას ჟამსა (მურვან ყრუს დროს რომ ყველანი კავკასიონისკენ მიდიოდენ დასამალად) პიტიახშნი ვინმე არ შეუშვნეს კლარჯეთს სახლად (დედანშისახვად) და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსაც ერქვა კალმახი და აღმშენეს ციხე“.

კოლა ციხე-ქალაქი ჯავახეთს. კოლას იხსენიებს ჯერ ისევ ჰეკატე (მე-VI საუკ. ქრ. წ.). აქედან იყვნენ ცხრანნი ძმანი კოლაელნი, რომელთა ცხოვრება პლატ. იოსელიანმა მოიტანა საქართველოს 1849 წელს. ხოლო ეხლა ხანს დაბეჭდა მარმაც.

ოლთისი. ქალაქი კარგი და კეთილ ჰაოვანი. აქ არს ციხე, მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომად ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე (ვახ.).

ოძრახე, მთის ძირში, პანტნოვანის ხევის ზევით, ქალაქი და ციხე, აშენებული ოძრახოსისის მიერ. ვახუშტის დროს გაოხრებული იყო. ამის ცოტა ქვევით, ოცხეს არს წყაროს წყალი აბანოთ. ჰკურნებს ქარით დახუთულს, მუწუკს, ბუგრს (ვახ.).

ქობულეთი, არს ქობულეთი ზღვის პირს მცირე ქალაქსავით და ნავთსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით ჩაქვის წყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქვს გვირაბი კლდე გამოკვეთილი გზად.

ქედა, აჭარის წყალზე. ხეობის საშუალს არს მცირე ქალაქს მსგავსი დაბა ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი (ვახ. 225).

ყველის ციხე, ჯაყის წყალზე ძლიერი სიმაგრე კლასიკურ მწერლების მიერ წოდებული კუელად (ჰან, 2—3). მეათე საუკ. დამლევს ამირა აბულ-კასიმი მფლობელი სპარსეთისა, 60 დიდ ქალაქისა, უფალი შვიდთა მეფეთა, შემოიჭრა საქართველოში ლაშქრით, ასის აქლემის საპალნე ისრით და ასი საპანე შუბით შემოერტყა ყველის ციხეს, რომელშიაც გამაგრებული იყო გობრონი. მხნედ იბრძოდენ მეციხოვნეები, მაგრამ ბოლოს დამარცხდენ. მტერმა აიღო ციხე და დაბრუნდა, ხოლო მის შიშით, ვიდრე იგი მოვიდოდა, ყველის ციხის არე-მარის ქართველობა შეიხიზნა აჭარაში, რომელიც ისე გაივსო ხალხით, რომ ერს შემოაკლდა საზრდო და ბევრნი ბალახეულობით იკვებებოდენო, სწერს სტეფანე მტბევარი გობრონის ცხოვრებაში (გვ. 396).

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

# სამალდებულო დადგენილებანი.

**სამშენებლო ნაწილში რკინა-ფიცრულის სკელით 9 და 8 ნიშნის ძალის მიწისძვრის განმცდელ ქვის რაიონისათვის.**

I. **ზოგადი დებულებანი.**

1. შენობის აგების დროს, ბინები უნდა გაკეთდებოდეს უმცირეს ზომისა, მხოლოდ ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, რომ არ იქმნეს დარღვეული ნაშენის მიზანშეწონილება; და რაც შეიძლება, მცირე რიცხვი ასეთი ბინებისა შეერთებული უნდა იყოს ერთ შენობაში; გარეკარები უნდა იღებოდეს გარეთ.

2. შეძლებისამებრ, შენობების გეგმაში არ უნდა იყოს გამოშვერილი ნაწილები.

3. საამშენებლო მასალები უნდა იყოს სავსებით კარგი ღირსების და სამუშაო უნდა შესრულდეს ყველა ნაწილში, საამშენებლო ხელოვნების წესდების თანახმად.

4. სამუშაო უნდა სწარმოებდეს მცოდნე ოსტატების და მუშების საშუალებით მცოდნე ტეხნიკოსების მეთვალყურეობით.

5. **შენიშვნა:** 1) სოფლებში სადაც მოსალოდნელია მიწის ძვრა ძალით 9 ნიშნამდის, ნება დართულია აშენდეს მხოლოდ ერთ სართულიანი საცხოვრებელი სახლები.

**შენიშვნა:** 2) გრძივი (გრძელი) კედლები ფანჯრების და კარების ხვრეტებით ყოველივე რაიონში უნდა დაიდგას მთავარ მიწრყევით (სეისმურ) მოქმედებათა მიმართულების სწვრივათ (პარალელურად).

**II. აგურის შენობები კირის დუღაბზე.**

1. სარდაფების გამართვა სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო საძირკვლები და კედლები სარდაფებში უნდა გაკეთდეს დიდრონი ქვებისაგან მჭიდას (ცემენტის) ან კირის დუღაბზე. სარდაფებში სასურველია კამარები (своды) კამარების აგება მიწის დონეზე მაღლა აკრძალულია. ნება დართულია სარდაფების გადახურვა იმის კოჭებით მცირე კამარებითურთ აგურისაგან პირის დუღაბზე; კოჭების შუა მანძილი უნდა იყოს არა უმეტეს, 0,40 საჟ., კოჭები უნდა იყვეს შეერთებული განივი (поперечный) რკინის მწეკოჭებით ერთი მეორისაგან მანძილით არა უმეტეს 1,00 საჟ. ზემოაღნიშნული მთავარი და მწეკოჭები კედლებთანაც უნდა გაკეთდეს.

მჭიდის (ცემენტის) დუღაბზე დაუბრკოლებლივ ნებადართულია ინგლისური მცირე კამარები როგორც აგურების, ისე ტინობის (ბეტონის).

**შენიშვნა:** სარდაფების გადასახურავების ორტესებრი (двутовровый) რკინის კოჭები ბოლოებით უნდა გამოდიოდეს მიწის ძვრის მოქმედების კედლების შესუსტების მიზნით, ვინაიდან ამ შემთხვევაში კოჭები მოქმედებენ როგორც კერძი (таранъ) კოჭების ბოლოები უნდა იყოს ჩაკეთებული ცემენტის დუღაბზე.

2. საძირკველი უნდა დაეწყოს სხვილი ქვებიდან მჭიდას (ცემენტის) ან კირის დუღაბზე ჭაფჩის საშუალებით. ნებადართულია რიყის ქვის წყობა იმავე თულაბზე; იმ შემთხვევაში, თუ რიყის ქვა არა ნაკლებ 6 ვერშოკის არის. ამასთანავე ჩამოთლილი და კეთხეები დამტვრეული ქვებით გამოწყობილი საძირკვლის სიღრმე უნდა იყოს დაყვანილი მკვრივ ყამირამდის (грунтъ) მხოლოდ არა ნაკლებ ერთი არშინისა; საძირკვლის ლანჩის სიგანე კედლების სიგანე კედლების სისქეს ანა ნაკლებ $1^1/_2$ ჯერ უნდა აღემატებოდეს.

**შენიშვნა:** საძირკვლის წყობა მოითხოვს დიდ ყურადღებას როგორც მასალების შერჩევით, ისე მუშაობის გულმოდგინეობით; ამასთანავე, რაც უფრო ღრმათ ჩაიდგმება საძირკველი, მით უფრო მდგარი იქნება ნაშენი. შენობის გარშემო სასურველია თხრილის გაკეთება 2—3 არშინის სიღრმით და 1 არშინის სიგანით; მისი კედლები უნდა იყოს სუბუქათ შემაგრებული.

3. ზეძირკველი (цоколь) უნდა დაიწყოს აგურიდან მჭიდას ან კირის დუღაბზე, მაგრამ ნებადართულია წყობა:

ა) სხვილ მოთლილ ქვიდან მჭიდას (ცემენტის) დუღაბზე; იმ პირობით, რომ ქვები სწორედ იქნება ჩამოთლილი ყველა მხრებიდან.

ბ) სხვილ მოთლილ ქვიდან კირის დუღაბზე, იმ პირობით, რომ ქვები სწორეთ იქნება ჩამოთლილი ყველა მხრებიდან.

4. კედლების სისქე:

ა) გარეგანი არა ნაკლებ 1 არშინისა.

ბ) შინაგანი არა ნაკლებ სამი მეოთხედი არშინისა.

5. **შენიშვნა:** აგურების თხელი ძგიდეები (ტიხრი) ალკრძალულია.

5. შენობათა სიმაღლის ზღვარი ფილაქანფენილის (ტროტუარის) დონედან ლავგარდნის უმაღლეს წერტილამდი 6 არშინია: შენობის სიგრძე არ არის განსაზღვრული, მხოლოდ ყოველ 12 საჟენზე კედელი შეწყვეტილი უნდა იყოს და მას მაგიერ გაყვანილი ორი სწვრივი კედელი თითოეული სისქით არა ნაკლებ სამი მეოთხედი არშინისა.

6. განიც (გარდიგარდმო) კედლებს შორის მანძილი არ უნთა აღემატებოდეს 6 საჟ.

7. შინაგანი კედლშუარები (простѣнокъ) უნდა იყვეს სიგანით:

ა) თუ ნახვრეტის სიგანე 2 არშინამდე —არა ნაკლებ 1 არშინისა,

ბ) თუ ნახვრეტის სიგანე 2 არშინს აღემატება—ყოველ თვის თანახმად გამოანგარიშებისა.

**შენიშვნა:** კედელ შუარის (простѣнокъ) სიგანე ითვლება ვიწრო ადგილზე, ნახვრეტის სიგანე—ფართო ადგილზე.

8. განმტვირთი (разгрузный) თაღების ქვეშ შეიძლება გაკეთდეს კედელშუარები $2^1/_2$ აგურის სიგანით.

9. კუთხის კედელშუარები შინაგან კედლშუარების უმცირეს დასაშვებ ზომაზე მეტი უნდა იყვეს არა ნაკლებ $1^1/_2$ ჯერ.

10. პრტყელი თაღები (შესაკრავები) არ არის ნებადართული; მათ მაგიერ უნდა გაკეთდეს გადასახურავები რკინის კოჭებისაგან, რომელიც შეკეთებული უნდა იყვეს კედელშუარებში არა ნაკლებ 8 ვერშოკისა.

11. ერგფარგლის შესაკრავები (полуциркулярные перилы) დაშვებულია, მხოლოდ მალებისთვის (пролетокъ) არა ნაკლებ 3 არშინისა.

12. კოჭები უნდა დაიწყოს მთელ ნაშენზე, რაც შეიძლება, მთლიანი, იმ შემთხვევაში, თუ კოჭების შეერთება იქნება საჭირო შუა კედლებზე ან ბოძებზე, ისინი აუცილებლად უნდა დაკავშირდეს კბილებით (зубомъ) და გამაგრდეს რკინის ფრჩხილებით (скобами). ჭერის კოჭები უნდა იყოს გამოშვებული გარედ, რათა მათზე შეიძლებოდეს ლავგარდნის გამაგრება. ეს კოჭები უნდა იყოს აგრეთვე შეჭრილი თავხეებში (მაუერლატებში), რომელნიც უნდა მოთავსებულ იქმნეს ერთი აგურის მანძილზე კედლების გარიგან ზედაპირისაგან, და შეკავშირებული წყობასთან რკინის ჭანჭიკებით, ან ხის (მკვრივი ჯიშის) ხუბანებით ყოველ 100 საჟენის მანძილზე. კოჭები უნდა შეერთდეს თავხეებთან ფრჩხილებით.

13. პრტყელი და კამაროვანი რკინა ბეტონის გადასახურავები ერთობ მიზან შეწონილია ყველა გადასახურავებისათვის.

14. სუფთა ჭერის გამოსაყვანად უნდა იყოს მოხმარებული ან სუფთა ფიცარი ან თხელი განგოზა (штукатурка) ალაბასტრისაგან. აგლესილი სარტყლები და ლავგარდნები არ უნდა გაკეთდეს $1^1/_2$ დიუმის უმეტეს გადმოშვებით, ასეთ შემთხვევაში მათი შეცვლით ხით, ლითონით ან პაპიე-მაშეთ.

15. მილები ჭერის კოჭების ზევით უნდა გაკეთდეს კედლებზე არა უთხელეს $^1/_2$ აგურისა, რუსული აგურით ან თუნის მილებისაგან იზოლიაციით.

16. ლუმელები უნდა აიგოს იატაკიდან რკინის ჩალითაში (ბუდეში).

17. ნივნივი (стропила) უნდა გაკეთდეს ჩამოკიდებული იმ პირობით, რომ არ მოქმედებდეს თარზული გასაყარი ძალები (თარზული მოსაწევი კოჭები).

18. სახურავისთვის მისაღებია შემდეგი სუბუქი მასალები: რკინა, სახურავი მუყაო (ტოლი), ყავარი, თლარი, ნება დართულია აგრეთვე პრტყელი კრამიტი; რგვალი კრამიტი და ბვადაფი (аспидъ) სახურავისთვის აკრძალულია.

**შენიშვნა:** კრამიტის სახურავზე უნდა იყოს გაკეთებული მცველ გვერდები, რათა ის არ ჩამოვარდეს მიწის ძვრის დროს.

19. სხვენის (чердакъ) კიბეები უნდა იყოს გარედან მისადგმული.

20. აგურის პარაპეტები აკრძალულია; ნება დართულია მხოლოდ სუბუქი ხისაგან.

21. შუბოანები (ფრონტონები) ქლუნის შეხედულობით ნებადართულია, მხოლოდ იმ პირობით, რომ სახურავის ზედაპირის მაღლა არ ადიოდეს და კედლის სისქე ჰქონდეს.

22. ცეცხლმაშორი (ბრანდმაუერი) უნდა იყოს იგივე სისქის, როგორც კედლები.

(გაგრძელება იქნება).

## განცხადებანი

ქ. სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ევგენია ნიკოლოზის ასულ ალექსანდრე და დავით აბრამოვიჩების მიერ იაკობი მარკოზის ძე მიმინოშვილზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუსი ზაგრაისკისთან 1919 წ. ნოემბრის 4-ს. რეესტრი № 1593, გაუქმებულია. 683 1—1

დაიკარგა მოწაფეთა ბილეთი № 41 დიმიტრი მატოთაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მე-5 გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1726 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ტიტე ფეფელოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. რეესტრით № 992. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1730 3—1

დაიკარგა პასპორტი გაცემული ქ. ბაქოს მე-6 უბ. საპოლიციო სამმართველოდან 8/II 1919 წ. №1316 ალექსანდრე პეტრეს ძე ფოხტის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1733 3—1

ქალ. ტფილისის მე 14 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ გიორგი დავითის ძე მათეშვილის დარჩენილ ქონებაზე თავისი უფლებების წამოსაყენებლად ნაჩვენებ ვადაში თანახ. 1241 მუხ. 1 ნაწ. X ტომ. სამოქალ. სას. წარმ. 1698 1—1

ქალ. ტფილისის მე-14 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ნიკოლოზ დავითის ძე ჭიაურელის დარჩენილ ქონებაზე თავისი უფლებების წამოსაყენებლად ნაჩვენებ ვადაში თანახ. 1241 მუხ. 1 ნაწ. X ტომ. სამოქალ. სას. წარმ. 1697 1—1

ქ. ტფილისის მე-4 განყოფილების სასამართლოს ბოქაული კრაულისი ამით აცხადებს, რომ 29 ივლის 1920 წ. დილის 10 საათზე მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მირონ არზუმანიანცის მოძრავი ქონებაზ, რომელიც შეიცავს გოგირდის სიმჟავეს (сѣрная кислота) და ბარიტს და რომელიც დაფასებულია 16500 მან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კავკასიის ბანკში. 1692 1—1

ჩოხატაურის პირველ უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 12 ნოემბერს 1918 წ. გარდაცვალებულ ბარნაბა ივანეს ძე შონიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება შონიძის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 682 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამოქ. საქ. წარმ. წესდებ. იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრებ სოფელ სკინდორში, შორაპნის მაზ. ბესარიონ როსაფას ძის ფხალაძის დანაშთენ ქონებაზე, რომ მათ განაცხადონ თავისი უფლებები-მე-1241 მუხ. იმავე წესდ. მე-X ტ. ნაწ. 1 აღნიშნულ ვადაში. 711 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად 1401 მუხ. სამ. საქ. წარმ. წესდებისა, იწვევს მემკვიდრეებს 27 დეკემბერს 1919 წელს გარდაცვალებულის მცხ. სოფელ პერევისაში, შორაპნის მაზრის, ყარამან ფარსადანის ძე წერეთლის დანაშთენ ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლებები.-მე-1241 მუხლში X ტ. ნაწ. 1 აღნიშნულ ვადაში. 712 1—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 27 ტიხონ ათანასეს ძე პროხოროვის სახელზე, მიღებული იანოვო-შეპტუხოვის ოლქიდან დონის ოლქი—1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1742 3—1

დრანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლილ იდრისი იბრაგიმ ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება იბრაგიმ ოღლის ქონებაზე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა. 715 1—1

სუფსის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მცხოვრების მმიქელ გაბრიელის თემში ოზურგეთის მაზრისა, გარდაცვალებული იასონ იგივე სიმონ ივლიანეს ძე ქიქავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ქიქავას ქონებაზე, სამოქ. კრებ. მე-X ტ. 1 ნაწ- 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 713 1—1

დაიკარგა მოწაფეობის ბილეთი, სარეგისტრაციო ბარათის ასლი, და სომხეთში წასვლის ნებართვა, სერგო მანდინიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სომხების სემინარიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1712 3—2

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულთა: სოფელ გეჯეთის მცხოვრეათა, სენაკის მაზრისა, როსტომ იოსეს-ძე ალასანიას ნიკოლოზ, იგივე ევგენი, როსტომის ძე ალასანიას და პართენი ნიკოლოზის ძემ იგივე ევგენის, ალასანიას მემკვიდრეებს, რათ მათ განაცხადონ თავისი უფლება ალასანიების ქონებაზე, სამოქალაქო კანონის კრებულის მეათე ტომი პირველი ნაწილი 1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში. 714 1—1

დაიკარგა საბარგო კვიტანცია „ლანჩხუთ-ტფილისი„ №11729 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1709 3—3

დაიკარგა პასპორტი №3817 კარაპეტ არუთინის ძე ტევინიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1700 3—3

ბიქტორ გიორგის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უნფროსი ნოტარიუსის მიერ 1914 წ. 26 მარტსა № 1001, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1720 3—3

იაკოფ ქრისტეფორეს ძე ტერ-ანდრიასოვი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მანგლისის ერობის გამგეობის ბუღალტრის იაკოფ ანანის ძე კარტოშევისადმი 1702 3—3

დაიკარგა პირადობ ს მოწმობა სურათით ნიკ. ლუკ. ცერცვაძის სახელზე, მიღებული სახელმწიფო კონტროლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 1711 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი შალვა სერაპიონის ძე ჩიხლაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსის სამმართველოდან 1915 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 686 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი იპშირის იშიღ ოღლის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგნ 5 მაის 1915 წ. რესტრით 985. გაუქმებულათ ჩაითვალოს, 1701 3—3

დაიკარგა საკერავი მანქანის № 407/6197 ბათუმში გატანის ნებართვა ხაჩატურ კოკოლიანის სახელზე, მიღებული ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1718 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის მოწმობა №699 პავლე ნგურონოვის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა 4 გიმნაზიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1703 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სამხედრო სამინისტროდან, იარაღის ტარების ნებართვა, მიღებული საქ. გენერალურ შტ. და ინგლისელების სამხ. პოლიციიდან ქ. ბაქოში, ნამსახურების ხუსხა, მიღებული ნიჟეგოროდის პოლკიდან და დაჭრილობის ორი მოწმობა და სხ. საჭირო საბუთები პოლკოვ. ირბოინ-ხან კაპლანიკოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1706 3—3

დაიკარგა პასპორტი ვლადიმერ გობას ძე ხუბულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1721 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული მაღლაკის საზოგადოების კანცელიარიდან და ჯარში ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ნესტორ კოსტას ძე ლექვინაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1679 3—2

დაიკარგა მოწმობა პარმენ ლავრენტის ძე დევთარიანის სახელზე, მიღებული შორაპნის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან № 769. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1716 3—2


# ჩაი

## ს. აცანაში (გურია)

**იყიდება ადგილობრივი საუკეთესო ღირსების გამხმარი ჩაი**

პირობების გაგება შეიძლება მღვდ. მ. ტუსკიასთან. (ნ.) 6—4


სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჯაგარიანი.